№ 275

ოთხშაბათი, 23 დეკემბერი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 275

ოთხშაბათი, 23 დეკემბერი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. გიორგი დიმიტრის ძე აფხაზი** შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ თავისის მეუღლის კნეინა

## ალექსანდრა პეტრეს ასულის აფხაზის

გარდაცვალებას, 20 დეკემბერს, ღამის 11 საათზე. 23 დეკემბერს წირვისა და პანაშვიდის შემდეგ მიცვალებულის გვამს დაასაფლავებენ იოანე მახარობლის ტაძრის გალავანში (ახალ-ყორღანოვის ქუჩა).

(2—193—2)

## „ივერია“

გამოვა 1899 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

**ტ ფ ი ლ ი ს ი,**

**„ივერიის“ რედაქცია,**

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და

ბაქოში, ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

**ტელეფონი № 227.**

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ**. Редакція „ИВЕРІА“.

შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავითვე მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარად: ხელის-მოწერის დროს 3 მან., პირველ მარტს—2 მან., პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წელიწადში 8 მან. დღეთმობათ, ნახევარის წლით 4 მან.

## დიდი იაფობა

იაპონიის, ჩინეთის და კავკასიის საუცხოვო და ორიგინალ საქონლისა.

**იყიდება:** უმშვენიერესი საჩუქრები **დღესასწაულებში მისართმევად, ოთახების მოსართავად**, საწერლო მაგიდებისა, კუთხეებს და კედლების შესამკობად და სხვანი.

აქვე **ისყიდება მრავალგვარი აბრეშუმეულობა და ფანზა ჩინეთისა** (თეთრეულებისათვის).

**ისყიდება აგრეთვე შეკერილი ხალათები. ჯუბები და სხვა.**

დოლის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სემინარიის პირდაპირ,

**იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში.**

(—6.—7)

## ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამდე.

აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—185—11)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ხ. ა. ხავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პრიტასკვიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ბ. ბურკი.** $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**გ. მ. მახვილაძე.**—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ზ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

**ცენტრალურ წიგნის მაღაზიამ მიიღო გასასყიდად**

## კაპიტალი

კარლ მარქსისა

სტრუვეს მიერ ნათარგმნი.

(5—136—4)

# ახალი ამბავი

∴ ორშაბათს, 21 დეკემბერს, ტფილისის „სობრანიის“ სადგომში, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართულ იქმნა სამუსიკო და სალიტერატურო საღამო. საღამოს მრავალი ხალხი დაესწრო. საღამოს ყველა მონაწილეთ საზოგადოება ტაშის ცემით აჯილდოვებდა. ბევრი ორჯელ და სამჯელ გამოიწვიეს და გაამეორებინეს ლექსი ან სიმღერა. კონცერტის შემდეგ ცეკვა იყო. საზოგადოება დილის 4 საათზედ დაიშალა.

∴ ჩვენ შევიტყვეთ, რომ 1899 წლის ექვს იანვარს ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში, კნ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანის მეცადინეობით ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ გამართული იქნება ბალი.

∴ ტფილისის საეკკლესიო მუზეის კომიტეტის თავმჯდომარედ მთავრობისაგან დამტკიცებულ იქმნა ყოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსი კირიონი.

∴ 20 დეკემბერს შესრულდა 25 წელიწადი მას შემდეგ, რაც ტფილისის სასულიერო სასწავლებელი სემინარიას განაშორეს და ცალკე შენობაში გადაიტანეს. ამის გამო ამ დღეს სასწავლებლის ეკკლესიაში მწირველი ბრძანდებოდა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე. წირვის დროს სიტყვა წარმოსთქვა სასწავლებლის მასწავლებელმა ა. ზ. გძელიშვილმა. წირვისა და პარაკლისის შემდეგ დამსწრენი შეიკრიბნენ სასწავლებლის დარბაზში, სადაც სალიტერატურო დილა იქმნა გამართული. შემდეგ სასწავლებლის ზედამხედველმა წაიკითხა ანგარიში ამ უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ. დასასრულ საუკეთესო მოსწავლეებს საჩუქრები დაურიგეს.

∴ გუშინ ქალაქის ტეხნიკოსებმა ქალაქის გამგეობის განკარგულებით დაათვალიერეს ქალაქის საყასბო იმ აზრით, რომ მტკვრის პირას, იმ მანძილზე, რა მანძილიც საყასბოს უჭირავს, არხი იყვეს გაჭრილი და აგრეთვე გაიმართოს ქვაფენილი, სადაც საქონლის თავფეხს მოამზადებენ.

∴ ავლაბრისა და არსენალის შუა უწინ ხევზე ხის ხიდი იყო, რომელიც სრულიად ჩაინგრა, ქალაქის გამგეობა ეხლა ამ ადგილას ახალს ისევ ხის ბოგირს აკეთებს, რომელიც ძველისავით ისევ მალე ჩაპარდება პატრონს. საჭიროა, რომ ხის ბოგირის მაგიერად ერთხელ და სამუდამოდ რკინის ხიდი გაკეთდეს.

∴ ქალაქის გამგეობამ შეუკვეთა ინჟენერს ბლანშოს წყლის მილისათვის ორი მანქანა (ტურბინა), რომლებიც უკვე მოაქვთ და იანვრის ნახევარში ტფილისში ჩამოიტანენ.

∴ ტფილისის გუბერნატორმა ამ დღეებში წარუდგინა კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიას პროექტი ქალაქსა და უსახელო საზოგადოების შორის დასადებ ხელ-შეკრულებისა რკინის გზის საკონცესიოდ გაცემის შესახებ.

∴ 21 დეკემბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის სახელოსნოების და დეპოს მუშებმა მუშაობას ხელი მიჰყვეს. სამუშაოდ გამოცხადდა სულ 1,529 მუშა.

∴ 18 დეკემბერს კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭოს სხდომა ჰქონდა. საბჭომ მოისმინა საზოგადოების სასწავლებელთა ინსპექტორის ე. ვ. მამინაიშვილის მოხსენებანი სკოლების დაარსების შესახებ სოფელ გერსა (ოსეთშია) და სოფ. ჩოლურში (სვანეთშია) და აგრეთვე იმის შესახებ, რომ საზოგადოებამ თავისის ხარჯით შეინახოს სხვა და სხვა თავშესაფარის მოსწავლენი. საბჭომ დაადგინა დააარსოს ზემოხსენებულ სოფლებში სკოლები და შეინახოს თავისის ხარჯით პარისახოს (ხევსურეთშია) და იპარის (სვანეთშია) თავ-შესაფარის სკოლის 10 მოსწავლე. გარდა ამისა საბჭომ დაადგინა: გადასდოს 2,500 მანეთი სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის და მოუმატოს ზაქათალის ოლქის მასწავლებელთ ჯამაგირი, თითოს წელიწადში 60 მანეთი. საბჭომ მოისმინა აგრეთვე სოხუმის ეპისკოპოსის არსენის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სოხუმის ეპარქიაში მისიონერი იქმნას დანიშნული. კრებამ დაადგინა დანიშნოს მისიონერად სოხუმის ოლქში მღვ. ტარ. ივანიცკი და მასვე მიანდოს განაგოს სოხუმში არსებულ საზოგადოების სკოლებს.

∴ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ 20 დეკემბერს ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში გამართულ იქმნა წლიური აქტი. როგორც ამ აქტზედ წაკითხულ ანგარიშიდგან სჩანს, საანგარიშო $189^7/_8$ წლის დასაწყის 310 კაცს უთხოვნია ჩემი შვილი მიიღეთო, მაგრამ მიუღოთ ეგზამენის შემდეგ მხოლოდ 100 ბავშვი. საანგარიშო წლის დასასრულს სასწავლებელში ირიცხებოდა სულ 776 მოსწავლე, შემდეგ კლასებში გადასულა 649 მოს. ე. ი. 84%. სწავლაში მეტი მეცადინეობა გამოუჩენიათ ებრაელთ (93%), შემდეგ ქართველებს (87%), რუსებს (85%), სომხებს (80%), თათრებს (75%). მოსწავლენი ეროვნობით ასე განაწილდებიან: რუსი—333, ქართველი—126, სომეხი—208, თათარი—32, ებრაელი—28, ფრანგი, ნემეცი და სხვ.—49; სარწმუნოებით: მართლ-მადიდებელი—448, სომეხ-გრიგორიანი—205, კათოლიკე—42, პროტესტანტი—21, ებრაელი—28 და მაჰმადიანი—32. თავად-აზნაური და მოხელის შვილი—551, სასულიერო წოდებისა—14, ვაჭრისა და მოქალაქის შვილი—196, გლეხისა და ჯარის კაცის შვილი—12, უცხო ქვეყნელი—3. საანგარიშო წელს 48 მოსწავლეს მიუღია ის მოწმობა, რომელიც უნივერსიტეტში შესვლის ნებას აძლევს. მათ შორის 4 ოქროს მედალი და ერთმა ვერცხლის მედალი მიიღო. რადგანაც ამა მდგომარე სამოსწავლო წელს მოსწავლეთა რიცხვმა იმატა, გიმნაზიის მეხუთე კლასის ორ პარალელურ კლასს მესამეც მიუმატეს. საანგარიშო წელს გიმნაზიაზედ დახარჯულა სულ 122,933 მანეთი. ამას გარდა გიმნაზიასთან არსებულ შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას დაუხარჯნია 2,000 მანეთი.

∴ გუშინ ქალაქის ინჟენერის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ მამუხარინსკიმ დაათვალიერა ახლად გაკეთებულ არხის მილები ავჭალისა, მიხეილისა, ელისაბედისა და კიროჩნი ქუჩებზე და რადგანაც მილები დაცმული აღმოჩნდა, ამიტომ ქალაქის გამგეობა მილებს 30 დეკემბრა-

მდე არ გასინჯავს და არ მიიღებს. გარდა ამისა აღმოჩნდა, რომ ელისაბედის ქუჩაზე სახლების პატრონებმა მელვინოვმა და გურგენოვმა ქალაქის გამგეობის დაუკითხავად და ნება დაურთველად გაიყვანეს თავიანთთვის არხები და დაიწყეს მილები.

⁂ ქალაქის გამგეობამ 21 დეკემბერს გადასცა ტფილისის პოლიცმეისტერს უწყებანი ამ წელს სახლის პატრონებზედ დარჩენილ სახელმწიფო და საერობო გარდასახადებისა და სთხოვა, შესაფერი განკარგულება მოახდინეო, რომ პოლიციის მოხელეთ ეს გარდასახადები მოჰკრიბონო.

⁂ 1898 წ. დეკემბრის 21 დღესა, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში მოხდა ვაჭრობა გასასყიდად სოფლის მამულებისა, რომელთა სავალდებულო გარდასახადი ვადაზე შემოტანილ არ იქმნა. სულ გამოცხადებული იყო გაზეთებში გასასყიდად 337 სოფლის მამული, ხოლო რადგან ვაჭრობის დაწყებამდე შემოტანილ იქმნა ხვედრი გარდასახადი უმეტეს ნაწილის მამულებისა, ამის გამო ვაჭრობაში ჩავარდა მხოლოდ 16 მამული, აქედგან გაიყიდა ცამეტი მამული და დარჩა სამი მამული გასასყიდად ხელ მეორე ვაჭრობით, რომელიც მოხდება 4 იანვარს 1899 წელსა.

⁂ 20 დეკემბერს იუნკერთა სასწავლებლის დარბაზში გამართულ იქმნა სალიტერატურო დილა.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა მოსთხოვა მაზრის უფროსებს ცნობები იმის შესახებ, თუ რა ზომები იქმნა მიღებული მაზრებში სოფლებისა და ქალაქების დასუფთავებადასაწმენდათ.

⁂ ქუთაისიდან სწერენ, „ახ. მიმ.“-ს თუმცა ქალაქის საბჭომ 16 ნოემბერს მოიწონა და შეიწყნარა ინჟენერის მიხაილოვის პროექტი ელექტრონის რკინის გზის გაყვანის შესახებ, მაგრამ ეს დადგენილება გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს დღემდის არ დაუმტკიცებია, რის გამოც ქალაქი ჯერ ხანად ვერ ახერხებს ფორმალურ ხელ-შეკრულობის დადებას ბ-ნ მიხაილოვთან. ამავე დროს ქუთაისში ჩამოვიდა ტფილისის რკინის გზათა დირექტორი ბ-ნი რობი იმ აზრით, რომ რკინის გზის გაყვანის საქმე თვით ჩაიგდოს ხელში. მას უკვე ამის თაობაზედ ლაპარაკი ჰქონდა ქალაქის გამგეობასთან და როცა გამგეობამ გამოუცხადა, რომ ეგ საქმე უკვე გათავებულია, ბ-ნმა რობიმ მიუგო, „ჯერ კიდევ ვნახავთო“. 15 დეკემბერს რობიმ გადასცა გამგეობას წერილი, რომელშიაც ჩამოთვლილია კონცესიის უმთავრესი პირობანი.

⁂ გორის მაზრიდგან სწერენ „კავკას“-ს: კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭოს მინდობილებით, ამ საზოგადოების სასწავლებელთა ინსპექტორმა ე. ვ. მამინაიშვილმა რევიზია უყო გორის მაზრაში ყველა იმ სკოლებს, რომელნიც ოსებში, მთა სოფლებშია დაარსებული. ამ ოცის წლის წინად ამ სოფლებში არც ერთი სკოლა არ მოიპოვებოდა, დღეს-კი, საზოგადოების მეცადინეობით, რამდენსამე სოფელში არსებობს სკოლა. მცხოვრებნი წინად გაურბოდნენ სწავლა-განათლებას, ეხლა-კი სიხარულით აძლევენ თავიანთ შვილებს სასწავლებლებში. ამ წლის ნოემბერს ოსებმა თვით სთხოვეს საზოგადოებას, დაგვიარსეთ სკოლებიო. სოფელ გერის საზოგადოებამ, ინსპექტორის თანადასწრებით და იმის ჩაგონებით, დაადგინა მოჰკრიბოს ყოველ წლივ სასწავლებლისათვის და გადასცეს ხოლმე ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას ორას-ორასი მანეთი. იყოლიოს სკოლისათვის დარაჯი თავისს ხარჯით და საჭირო შეშაც თვით უშოვნოს სკოლას. სოფელ როკას საზოგადოებამ დაადგინა მოჰკრიბოს ხოლმე ყოველ წელიწადს სამას-სამასი მანეთი მასწავლებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; ხოლო სოფელ ჯალის საზოგადოებამ—150 მანეთი სკოლის მოსაწყობად. სხვა სოფლებიც ასევე მოიქცნენ.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსია საქმეების განხილვას ქალაქ გორში დაიწყებს 1899 წლის 21 იანვრიდგან და დაჰყოფს იქ თვის ბოლომდე.

⁂ მიწად-მოქმედების სამინისტრომ გამოუგზავნა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას ა. იაჩევსკის მიერ შედგენილი წიგნაკი „Отчетъ объ изслѣдованіи болѣзни корней тутоваго дерева“ საზოგადოების წევრთა, სოფლის მეურნეთა და მეაბრეშუმეთათვის დასარიგებლად. კარგი იქმნება ეს წიგნი ქართულს ენაზედ გადმოითარგმნოს და ისე დაურიგდეს ქართველ სოფლის მეურნეთ და მეაბრეშუმეთ.

⁂ პეტერბურგიდან „კავ.“-ს დეპეშით ატყობინებენ: არსდება ამიერ-კავკასიაში ხუთი საგუბერნიო და საოლქო ბეითალის თანამდებობა; არსდება აგრეთვე საგუბერნიო ბეითალის თანამდებობა შავის ზღვის ნაპირის გუბერნიაში და ამის გარდა ექვსი შტატს გარეშე ბეითალის თანამდებობა ტფილისის გუბერნიაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო სთხოვს სახელმწიფო საბჭოს,—ბათუმის სანავთ-სადგურო გამგეობის შენახად გადადებულ იქმნას 30,000 მანეთზედ მეტი.

⁂ გაზ. „С.-Пет. Вѣд.“ იუწყება, რომ მთავრობას აზრადა აქვს ახლო მომავალში დააარსოს საშუალო სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი, სხვათა შორის, კავკასიაშიაცაო.

⁂ აჯამეთი. 20 დეკემბერს აკურთხეს აქ აჯამეთისა და სვირის ხიდები. კურთხევას დაესწრნენ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ მაიორი გერშელმანი, ვიცე-გუბერნატორი მიკლაშევსკი, ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ბოგოროდსკი, რკინის გზის ინჟენერნი და მრავალი საპატიო სტუმარი. უპირველეს ყოვლისა გარდახდილ იქმნა სად. აჯამეთში, ხიდზედ პარაკლისი; შემდეგ აკურთხეს ჯერ აჯამეთის ხიდი და შემდეგ სვირისა. დასასრულ დამსწრენი სადილზედ იქმნენ მიპატიჟებული.

⁂ გორი. როგორც იქმნა გორის ხიდზედ ხალხის მიმოსვლა შესაძლებელი გახდა. აქამდის ბ-ნ დ—ის განკარგულებით ამ ხიდზედ სიარული შეეძლოთ ზოგიერთებს, სხვებისათვის-კი აღკრძალული იყო. დღეს, პატივცემულ თავ. ი. გ. ამილახვარის წყალობით, დ—ს განკარგულება გაუქმებულია და ხიდზედ სიარული ყველასა აქვს ნება დართული.

⁂ ბათუმი. 18 დეკემბერს ბათუმის ქალაქის საბჭოს კრება ჰქონდა. ამ კრებაზედ საბჭომ დაადგინა დაუნიშნოს ჯამაგირი გამგეობის წევრთ ისევ ის, რაც წინად იყო, სახელდობრ, ქალაქის მოურავს—5,000 მანეთი, გამგეობის წევრებს—თითოს 2,400 მ., ხოლო გამგეობის იმ წევრს, რომელიც ქალაქის მოურავის მოადგილეობას შეასრულებს, 600 მანათით მეტი.

⁂ „ტფ. ფ.“-ს სწერენ გორის მაზრის სოფ. ზღუდერიდგან, რომ ამ დღეებში მოკლულ იქმნა ზღუდერის მამასახლისი კორძაია. კორძაია ჯამაგირს ურიგებდა თურმე ჩაფრებს. როდესაც ჩაფარს ფილიშვილს გაუსწორდა, ამ უკანასკნელმა გამოუცხადა, რომ ექვსი მანეთი კიდევ მერგებაო. მამასახლისმა მიუგო, კარგი მერე ვიანგარიშებ მაგასაო და ჯამაგირის დარიგება განაგრძო. ამ დროს ფილიშვილმა ხმალი გაიძრო და ორის დაკვრით თავში სასიკვდილოდ დასჭრა კორძაია, რომელიც მალე გარდაიცვალა კიდეც. დამნაშავე გაქცევას აპირებდა, მაგრამ ბოქაულმა თავ. ჯავახიშვილმა შეიპყრო და გორის საპყრობილეში დაასპატიმრა.

⁂ საქართველოს ექსარხოსის კანცელარიამ მიიღო შემდეგი შემოწირულებანი საქართველოს ეპარქიის სასულიერო წოდების [illegible] სასარგებლოდ:—მის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსისაგან—15 მანეთი, ექსარხოსის კანცელარიაში მოსამსახურეთაგან—9 მან. 10 კაპ., ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორის მოხელეთაგან—23 მან., ტფილისის სამღვდელოებისაგან—21 მან., სულ 68 მ. 10 კ.

⁂ 20 დეკემბერს კოიალოვის მაღაზიის ნოქარმა იაკობ ჯეირანოვმა წარუდგინა ვაჭრის ევ. პანკრატოვის მემკვიდრეებს თამასუქი, რომლითაც ამ უკანასკნელთ 650 მანეთს ედავებოდა. ჯეირანოვმა სთქვა, რომ თამასუქი თვით პანკრატოვისაგან მივიღე ამ წლის 23 ნოემბერსაო. მემკვიდრეებმა განაცხადეს, რომ ეგ თამასუქი ყალბიაო. ჯეირანოვი მართლაც გამოტყდა, რომ თამასუქი ყალბია.

⁂ 20 დეკემბერს ტფილისის მოქალაქეთ მიხეილ მათიშვილსა და კარაპეტ შაბაზოვს ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროსაც ერთმანეთი დასჭრეს. ორივენი მიხეილის სააავადმყოფოში გაჰგზავნეს.

⁂ 20 დეკემბერს, რკინის გზის სადგურიდგან ბაქოს მატარებლის წასვლის შემდეგ, საღამოს $9^1/_2$ საათზედ სახლში დაბრუნდა ორი ქალი, რომელთაც თან ნაცნობი კაცი მოსდევდა. ბულვარის ქუჩაზედ ვიღაც ორი უცნობი კაცი ჩააცივდა ქალებს,—ჩვენ გამოგვყევითო. ქალებს ნაცნობი წაესარჩლათ, მაგრამ კაცები მისცვივდნენ და ცემა დაუწყეს, შემდეგ სტაცეს ერთს ქალს ხელი, ჩასვეს ეტლში და გააქანეს ელისაბედის ქუჩისაკენ. მაშინვე შეატყობინეს პოლიციას, რომელმაც შეიპყრო უცნობი კაცები ერთს საწვრილმანო დუქანში.

⁂ თუმცა ქალაქის გამგეობამ ღორის ხორცის ნიხრი დააწესა, მაგრამ ყასბები მაინც თავისას არ იშლიან და გირვანქა ხორცს 10—12 კაპეიკად ჰყიდიან და არა 7—8 კაპ. როგორც ნიხრია. აგრეთვე კამბეჩის ხორცს, 5 კაპ. ნაცვლად, 7 კაპეიკად ჰყიდიან.

⁂ რედაქციამ მიიღო მე-5 ნომერი „Ежедневный бюллетенъ Тифлисской Физической Обсерваторіи“-სა.

## ქალაქის საბჭო.

21 დეკემბერი.

თავმჯდომარე. 19 დეკემბერს გარდაიცვალა ა. ი. შაჰ-აზიზ-კამსარა-

---

# ფელეტონი

## ნიბლია და ზამთარი

— ჰეი, ნიბლია, რა იქნა შენი მხიარული ჭიკჭიკი, შენი ხავსისა და ბუმბულის ბუდე? საით წავიდნენ შენი მეგობარნი ყვავილები, სუნნელებს რომ ჰფენდნენ შენის ბუდის არე-მარეს?—შეეკითხა დაცინვით ზამთარი ნიბლიას.

— ჩემი ჭიკჭიკი არ გამქრალა, მხოლოდ სძინავს!—უპასუხა სიცივით აკანკალებულმა ნიბლიამ.—ცოცხალი და მხიარული მალე გაიღვიძებს გაზაფხულის სადიდებლად. ჩემი ბუდეც ისევ გაჩნდება ხის ტოტზე და ყვავილებიც ისევ დაატკბობენ აქაურობას ტკბილი სუნნელებით.

— ვაი, შე საწყალო, საწყალო! შენ ჯერ არ იცი, რომ მე შენი მოკვლა გადავწყვიტე! ხვალ ჩემს თოვლში გაგითხრი საფლავს.

მზე ადრე ჩავიდა და ზამთარი მთელს ღამეს ანჩხლობდა. შეუწყვეტლივ ცვიოდა ციდგან თოვლის სხვილ-სხვილი ფერფლები.

როცა დილა დადგა, სუსხიანი და მოღრუბლული... ზამთარმა თვალი გადაავლო ტყეებსა და ველებს, პატარა უსულო ნიბლიას საპოვნელად... ტყეც და ველიც სავსე იყო საცოდავის გაყინულის ჩიტუნიებით... აქ გუგული ეგდო, იქით—ბულბული, მოშორებით პაწია ბეღურა. ნიბლია-კი არსადა სჩანდა...

— საღამო ჟამს ზამთარმა თვალი მოჰკრა ცქრიალა ნიბლიას.

— სად გაატარე წუხანდელი ღამე?..

— სარეცხის ოთახში, სადაც ქალებს ცეცხლზედ სარეცხი ჰქონდათ დალბობილი!

— ძალიან კარგი. დღეს საღამოს-კი მოვაღწევ.

ამ ღამეს მართლაც ისე ააცივა ზამთარმა, რომ სარეცხ ოთახში ცეცხლზე ჯამში წყალი იყინებოდა. მაგრამ პაწია ნიბლია იქ აღარ იყო.

მეორე დღეს ვინ იყო ძალიან გაკვირვებული? ისევ ზამთარი!

— როგორ? ჯერ არ მომკვდარხარ?

— მომკვდარვარ? რად უნდა მომკვდარვიყავი?

— სად იპოვნე თავ-შესაფარი წუხელი?

— თავლაში, თეთრი ცხენის სახურავ ქვეშ.

— კარგი, ამაღამ კი მოგაგნებ?

ისეთი სუსხიანი ღამე იყო, რომ მეორე დღეს გაყინული ცხენები ვეღარც-კი ინძრეოდნენ.

ნიბლია-კი ხის ტოტზედ დახტოდა და ზამთარს ახელებდა:

— ტიუ, ტიუ, ტირი-ლირი-ლიიი.

— როგორ! შე საძაგელო, კიდეც დამცინი? შეჰყვირა გაანჩხლებულმა ზამთარმა. სად ეგდე წუხელი? ვიცი, რომ ჩემი შეგეშინდა და თავლაში აღარ იყავი!

— მე ვიყავი ახალგაზდა დედისა და იმისს შვილს შუა, ამათი ერთმანეთის სიყვარული ისეთი მხურვალე იყო...

— შეხედეთ ერთი სად ყოფილა! ვინ იფიქრებდა, თუ იქ შეძვრებოდა! მაგრამ არა უჭირს-რა! ამაღამ-კი შევხვდებით ერთმანეთს.

— ვნახოთ!—უპასუხა ნიბლიამ.

ამ ღამეს ზამთარი ისე სასტიკად მოეპყრო დედა-მიწას, რომ მეორე დილას საწყალი დედა და მისი შვილი მკვდარი იპოვნეს ლოგინში, მაგრამ ნიბლია-კი კედელში შემძვრალიყო მეპურის თორნესთან და მშვენივრად გამოეძინა.

— ტიუ, ტიუ, ტირი-ლირი-ლიიი... ჭიკჭიკებდა მეორე დილას ნიბლია. გაზაფხული მოდის, ყვავილები მალე გაიფურჩქნებიან და მალე აქანავდება ჩემი ხავსის ბუდე ხის ტოტზედ! მშვიდობით, ავო ზამთარო, ბევრი მტანჯე, მაგრამ მაინც აღარ მეშინიან შენი! ვაშა მზეს და იმისს მხურვალე ოქროს სხივებს!

X

---

## მჭვალი ადგა

(ერთი სურათი სოფლის ცხოვრებისა)

— აბრი, შინა ხარ!—დაიძახა დამფრთხალ ირემივით ყელ მოღერებულმა გზირმა ერთის მეკომურის კარზედ.

— შინ გახლავარ, მობრძანდი! გააგონა აბრიამ, მოიწია დაფლეთილი ფარაჯის კალთები, მოტრიალდა კარებისაკენ და, რა დაინახა თავის სოფლის გზირი, წყნარად და უწადინოდ მიუახლოვდა კარებს.

— ამაღამ „ზეკლატში“ უნდა გამოხვიდე, შენი ჯერია,—უთხრა გზირმა.

— „ზეკლატი“ რაღა ეშმაკია? შეეკითხა აბრია.

— რა არი და... ღამის „ყარაული“, განუმარტა გზირმა.

— რასა ჰყარაულობთ ამ ყიმიათ დროში?

— რასა და ღმერთმა ნუ იცის ავ—შავი კაცის თავი და ტანი! იმ დღეს ზოგიერთებმა მამასახლისთან იჩივლეს: მე ქათამი მომპარეს, მე ინდოური, მე გოჭი, მე ღვინოვო და სხ. მამასახლისმა „პრიჰტავს“ აცნობა „ლეპორტით“, იმასაც „აბიდის“ შიში აქვს. იმას ებრძანებინა: უბან-უბან ყარაულები დააყენეო.

— აი ღმერთმა შეაჩვენოს ისინიცა და თქვენც! რომელი ქრიჰტიანი გაჰძლებს აძიჰთანა სიცივეში გარედ, მერე ჩემიჰთანა ტიტველი კაცი... მე ვიცი იაფინჯს მოვისხამ, ღმერთი სიცოცხლით გაგაძღებთ,—გააყოლა ეს სიტყვები მიმავალ გზირს.

— ნუ ბუტბუტებ, თორემ ხომ იცი ჩვენი კუპაჰია მამასახლისის მათრახების ამბავი, სთქვა მუქარით გზირმა და იქვე ღობეზედ კამარა გადიარა სხვა ყარაულების დასაძახებლად.

—

ჩვენი ხალხი რომ ამბობს: შუა ქრისტეშობისთვესა მზე ბუდესა, დათვი ხვრელსაო, სწორედ ეს დრო იყო. იმ ღამეს ხესა და ქვას ტკრცია-

კანი, რომელიც 1891 წლიდგან მოკიდებული ქალაქის საბჭოს ხმოსნად იყო. განსვენებული თავისს სიცოცხლეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა საქალაქო საქმეებში და ცნობილი იყო როგორც გულწრფელი და დაუღალავი მოღვაწე. გთხოვთ ეხლა ფეხზედ წამოდგომით პატივი სცეთ განსვენებულს, ხოლო მისს დასაფლავებაში რაგვარი მონაწილეობაც უნდა მივიღოთ, ამის შესახებ თავისს დროზედ გაცნობებთ.

ხმოსნებმა, მოისმინეს-რა ბ-ნ ქალაქის მოურავის სიტყვა, ფეხზე წამოდგნენ მიცვალებულის პატივისაცემლად.

წაკითხულ იქმნა, რომელი და რომელი ხმოსანი დააკლდა საბჭოს კრებას 7 და 14 დეკემბერს, და მათი დაუსწრებლობის მიზეზი საბჭომ კანონიერად სცნა.

რამდენიმე წვრილმან საგნის განხილვის შემდეგ, საბჭოს მოხსენდა, ვის მიეცა გამგეობის მიერ ტრაქტირების გამართვის ნებართვა მომავალის იანვრიდგან.

გამგეობის წევრმა თავ. ა. მ. არღუთინსკიმ წაუკითხა საბჭოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარჰყო ქალაქის შუამდგომლობა ტივებზედ ბაჟის განახლების შესახებ და კავკასიის მთავარ-მართებლის დადგენილება დაამტკიცაო.

ხმ. თავ. ი. არღუთინსკი. როგორაც სჩანს, უმთავრეს საბუთად ტივებზედ ბაჟის მოსპობისა ის არის მიღებული, რომ ტივებად საშეშე ხეები ჩამოაქვთ და თუ მაზედ ბაჟი იქმნა დადებული, შეშა გაძვირდება და ღარიბს ხალხს ცხოვრება გაუჭირდებაო. ეს ასე არ არის. ტივებად შეშა როდი ჩამოაქვთ, არამედ შენობებისთვის საჭირო ხე-ტყე. ამიტომ იქნებ შესაძლოდ დაინახოთ, ხელახალი შუამდგომლობა იქმნას აღძრული ბაჟის განახლების შესახებ.

თავმჯდომარე. შეიძლება ეს, მხოლოდ საჭიროა ჯერ-ჯერობით კარგად შევისწავლოთ ეს საქმე და შუამდგომლობა შემდეგ აღვძრათ.

ა. ს. ბაბოვი. საჭიროა, ყველა მასალა, რაც ამ საგანს შეეხება, ერთად შეგროვდეს და დაიბეჭდოს ცალკე მოხსენებად. მაშინ საზოგადოებას საშუალება ექნება, მთელი ისტორია ამ საქმისა სისწორით გაიგოს. ეს მით უფრო სასურველია, რომ ამ საგნის შესახებ ათასგვარ ცნობებს ავრცელებდნენ გაზეთები და ჯერ მართალი არა იცის-რა საზოგადოებამ.

ბ-ნმა ხოსროევმა წაიკითხა გამგეობის დადგენილება მორიგ კრებების განწესების შესახებ 1899 წელს. სულ 24 მორიგი კრება იქნება; ყოველს თვეში ორ-ორი კრება.

საბჭომ შეიწყნარა ეს მოხსენება.

ხმ. ა. ბ. ევანგულოვი. თქვენ ყოველთვის იმას გვეუბნებით, რომ ამათუ იმ საგნის შესახებ წერილობითი განცხადება შემოიტანეთო. მეც სწორედ ასე მოვიქეცი და წერილობითი განცხადება მოგართვით. გთხოვ, პასუხი მომცეთ იმ განცხადებისა.

თავმჯდომარე. დღეს 3 საათზედ მივიღე თქვენი განცხადება...

ა. ბ. ევანგულოვი. მე შაბათს გამოვგზავნე...

თავმჯდომარე. მართალია, მაგრამ მე დღეს მივიღე და იმის პასუხს წერილით გაცნობებ.

ა. ბ. ევანგულოვი. წერილობითი პასუხი ვის გაუგონია?! პასუხი აქვე, საბჭოში, უნდა მომცეთ.

თავმჯდომარე. ჩემი საქმეა, როგორც მოგცემ პასუხს.

ი. ს. ბუდდანოვი. თქვენი საქმე როგორ არის! თქვენ ვალდებული ხართ, პასუხი საბჭოში მისცეთ.

თავმჯდომარე. დარიგებას ნუ მაძლევთ! მე როგორც ვფიქრობ, ისე მოვიქცევი და არა ისე, როგორც თქვენ ჰფიქრობთ.

ი. ს. ბუდდანოვი. თქვენ ისე უნდა იფიქროთ, როგორც ჩვენ ვფიქრობთ და გვსურს...

ამის შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით, საბჭომ აირჩია კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, თუ როგორ იდღესასწაულოს ტფილისმა რუსეთის ასის წლის მფლობელობის შესრულების დღე ტფილისში. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ა. ა. იონესიანი, თავ. გ. მ. თუმანოვი, ი. ა. თაიროვი, ს. დ. ლისიციანი, თავ. პ. მ. არღუთინსკი, თავ. ნ. ი. არღუთინსკი და ა. ს. ბაბოვი.

კრებამ განიხილა დიმიტრი მაისურაძის თხოვნა, რომელშიაც ქალაქის გამგეობას უჩივის იგი, რომ სახლის აშენების ნება არ მომცა ავლაბარში ჩემს საკუთარს ადგილზედო. ბ-ნი მაისურაძე, სხვათა შორის, ამბობს თავისს საჩივარში, რომ ჩემს მეზობლად იმავე ქუჩაზედ, რომელზედაც მე სახლის აშენება მინდოდა და უარი მითხრა გამგეობამ, სხვებმა აიღეს შენობების აგების ნებართვაო.

ქალაქის ინჟენერი მუხარინსკი. ის ადგილი, სადაც მაისურაძეს სახლის აშენება უნდა, განწეს-რიგებული არ არის. ოთხი არშინის სიგანე გზა აქვს მისავალი და ცეცხლი რომ გაჩნდეს, ცეცხლის მქრობელი რაზმი ვერსაიდგან მიუდგება.

ხმები. მაშ სახლის ასაშენებელი მასალა როგორ მიიტანა მაისურაძემ, ანუ სხვებს როგორ მიეცით ნება იმავე ქუჩაზედ სახლების აგებისა?

კომისია იქმნა არჩეული, რომელმაც უნდა გამოირკვიოს, რამდენად სამართლიანია მაისურაძის საჩივარი და გამგეობის მოქმედება. კომისიის წევრობა იკისრეს: ნ. ა. გრიქუროვმა, ლ. პ. ბილფელდმა და ა. ს. ბაბოვმა.

აბოევისა და იმნაძის საჩივრის გამოსარკვევადაც, გამგეობამ შენობის აგების ნება არ მოგვცაო, კომისია იქმნა არჩეული. კომისიის წევრებად არიან: პ. ა. ოპოჩინინი, ა. ი. მიტკევიჩი, კ. მ. ალიხანოვი, თავ. ნ. ე. არღუთინსკი და მ. ს. დოლუხანოვი.

დიდი კამათი გამოიწვია იარმუკაში საქალაქო ქოხის მოიჯარადრის დარჩო სარქისოვის თხოვნამ, რომელიც 18 სექტემბერს წარმოუდგენია გამგეობაში—რომ ექვსის თვით კიდევ მომეცით იჯარით ეს ქოხი, რადგან საქონელი მიწყვია შიგ და ეხლა სხვა ადგილას სახლის დაჭერის თავი არ მაქვსო. გამოირკვა, რომ, საბჭოს დადგენილებით, ეს ქოხი გამგეობას უნდა დაენგრია, როცა დარჩო სარქისოვს იჯარის ვადა გაუვიდოდა. ამისდა მიუხედავად გამგეობის უმრავლესობას დაუდგენია, სარქისოვის თხოვნა შეწყნარებულ იქმნასო; ხოლო მარტო თავ. ა. მ. არღუთინსკი დარჩენილა იმ აზრისა, რომ საბჭოს დადგენილება უთუოდ უნდა შესრულდეს და ამიტომ სარქისოვის თხოვნის შეწყნარება არ შეიძლებაო. აქვე წაკითხულ იქმნა ბ-ნ პოლიცმეისტერის ქაღალდი, რომელშიაც იგი ამბობს, რომ ჩემმა თანაშემწემ ბ-მა კოვალიოვმა და ექიმმა სტეფანოვმა დაათვალიერეს ეს ქოხი და ბინძურს მდგომარეობაში ნახესო. ამის გამო პოლიცმეისტერი თხოულობს, რაც შეიძლება, ადრე იქმნას იგი დანგრეული, მით უფრო, რომ საბჭოსაც დაუდგენია მისი დანგრევაო.

თავმჯდომარე. მართალია, საბჭოს დადგენილება ვერ შევასრულეთ, მაგრამ ამის მიზეზი ის არის, რომ ქალაქს კარგს შემოსავალს აძლევს ეს ქოხები და იმათის დანგრევით-კი შემოსავალი მოგვაკლდება.

ა. ს. ბაბოვმა, ნ. ა. ხუდადოვმა, ა. ბ. ევანგულოვმა და ა. ა. იოანესიანმა დიდად უსაყვედურეს გამგეობას საბჭოს დადგენილების შეუსრულებლობისა და თვით ნებობისათვის. ხანგრძლივის ბაასის შემდეგ დადგენილ იქმნა, 1899 წლის 16 იანვარს უთუოდ დაანგრევინოს გამგეობამ ხსენებული ქოხი.

ამის შემდეგ საბჭომ შეიწყნარა გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ საყასბოს მახლობლად გაიმართოს ბაკი დასაკლავ საქონლისათვის და ამ საქმეს 8,136 მან. მოხმარდესო.

დასასრულ არჩეულ იქმნა 32 კაცი, რომლებსაც დავალებული ექნება სია შეადგინონ და საზოგადოდ თვალ-ყური ეჭიროთ, ტფილისში რამდენი ცხენია, რომლებიც სამხედრო საჭიროებისთვის გამოდგება.

---

# დაბა-სოფლიდან

(მოწერილი ამბები)

ს. ციხე, (გურია). აგერ ერთი თვე იქნება, რაც ციხეში ყვავილი გაჩნდა და საშინლად მძვინვარებს. ჯერ-ჯერობით სამი ბავშვი იმსხვერპლა სენმა და ერთიც ოც-და-სამის წლის ვაჟკაცი. შვიდ დეკემბერს აქეთ ყვავილის შიშით დაკეტილია აქაური სამრევლო სკოლა. სოფელში საზოგადოდ დიდად შეაშინა ხალხი ამ სენმა. ზოგმა თავისს სახლკარს თავი დაანება და სხვა სოფლებში გადასახლდნენ, და ამგვარად ახლომახლო სოფლებსაც მოსდეს ყვავილი.

ეს გადამდები სენი ციხეში ჩამოათესლა აქაურის გლეხის სიხარულიძის ქალიშვილმა. აი როგორ იყო ეს საქმე: წარსულ ზაფხულში ეს ქალი მაღალ ბლის ხიდგან გადმოვარდა და მირს ღობის სარზედ ჩამოეცვა. ქალმა ისეთი ჭრილობა მიიღო და ისე დაშავდა, რომ ყველა მისს მნახველს სიბრალულით გული ევსებოდა. ქალის მამა რო დარწმუნდა, რომ სოფლის ექიმები კარგად ვერ მოარჩენენო, ტფილისში გაჰგზავნა საექიმოდ. მართალია ჭრილობისაგან-კი განთავისუფლეს ქალი ტფილისში და ნოემბრის შუა რიცხვებში დაბრუნდა უკან, მაგრამ ყვავილიც ჩამოიტანა სახლში და მთელს სოფელს მოსდო. თითონ ის ქალი ეხლაც გადაურჩა ავადმყოფობას, განიკურნა, მაგრამ სენმა მისი უფროსი ძმა იმსხვერპლა, ოჯახის ერთად-ერთი მომვლელი და პატრონი და შემდეგ სხვებსაც გადაედო.

აქაური მასწავლებელი

---

# რუსეთი

პეტერბურგში არსდება ბეჭვდითი საქმის მოღვაწეთა საზოგადოება. წესდების პროექტი უკვე წარედგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს დასამტკიცებლად. პროექტით საზოგადოებას ნება ექმნება იშუამდგომლოს ხოლმე მთავრობის წინაშე ბეჭვდითი

---

ლი გაჰქონდა ყინვისაგან. მოკრიალებულ ცაზე ვარსკვლავები ისე ჰკრთოდა, რომ კაცი უთუოდ იფიქრებდა: იმათაცა სცივაო... სოფელში მეტის-მეტი სიწყნარე იყო. ბუხრიდგან დრო და დრო ამოვარდნილი ნაპერწკალი-ღა თუ აწიშნებდა კაცს აქ სოფლის არსებობას. ცივი ნიავი ხან ერთის მხრიდგან დაიწყებდა სისინს და ხან მეორიდგან...

ამ დროს სოფლის ერთ ჯვარედინს გზაზედ ორიოდე სამი მუგუზალი ჰბოლავდა; ეს მუგუზლები უფრო ყალიონის ცეცხლად იყო აქ მოტანილი, ვიდრე ვისიმე გასათბობად (ცეცხლის ანთების ნება არა ჰქონდათ). ამ მუგუზლებს შემოსხდომოდნენ ღამის დარაჯები რიცხვით სამი, და, რომ ძილი არ მოჰკიდებოდათ, ერთმანეთს უამბობდნენ ძველსა და ახალ ამბებს, თავიანთ ნახულსა და გაგონილს.

— ოჰ, რა ძალიანი სიცივეა! წამოიძახა ჩვენმა ნაცნობმა აბრიამ და თან მხრებში შეიშმუშნა... ეს რაღაც ჯანაბა „ზეკლატია“, რა მოსაგონი იყო! სულ მაგ ჩვენი კუპაჭია მამასახლისის საქმეა, აი! თურმე სულ ჩუმად აბეზღებს სოფელს.

— არა შვილოსა, ჩამოართო პირველმა ამხანაგმა, „ზეკლატი“ იმის შემდეგ დაწესდა, რაც ი. კობახიძე იყო ყაჩაღად გავარდნილი.

— ეჰ, ეჰ, ღმერთო დაილოცა შენი სამართალი. გადაიწერა პირჯვარი მეორე ამხანაგმა და განაგრძო: კობახიძე ხომ ტყუილ უბრალოდ გააყაჩაღა ქვეყანამ!..

— ტყუილად-კი არა, გააწყვეტინა სიტყვა აბრიამ და მუგუზლებს წაუჩიჩხინა.

— ჩემზე კარგა შენ იცი, შეუტია იმანვე. შენ მარტო გაგიგონია იმის სახელი და მე-კი პირად ვიცნობდი. იმის ყაჩაღობას ვინ მოიფიქრებდა. ისეთი მშვიდი რამ იყო, რომ ჭიასაც ვერ გასრესავსო, ამას იფიქრებდით.. მაგრამ რაკი კაცს ერთი ფეხი აუცურდება, ძნელად-ღა წამოდგება, უნდა წაიქცეს... აი რას ამბობენ იმის ყაჩაღობაზე: თურმე ერთხელ სოფლის ყრილობაში რაღაც სიტყვა შეუბრუნა მამასახლისს, შეცდომა უჩვენა. მამასახლისს ეს არ მოეწონა. შელაპარაკდნენ..ბოლოს „ბუნტოჩიკი“ დაუძახა და „პრიჰტავთან“ დაასმინა.

— აბა კიდეც ეგ არი და! ვინც ჩვენ მოხელეებს კბილებს უსინჯავს, იმას „ბუნტოჩიკს“ ეძახიან, სასოფლო საქმეზე ხმას აღარ აღებინებენ, სოფლის ყრილობაზე ფეხს არ ადგმევინებენ! ჩემითანა უენპირო კაცი თუნდა იყოს ყრილობაში და თუნდა არა, რის მაქნისია!. ბურთი და მოედანი ისევ იმის ხელში რჩება, ვინც უფროსს საპოხივით ეცხობა,—სთქვა პირველმა ამხანაგმა.

— ჰო, იმას ვამბობდი: ახლა „პრიჰტავმა“ შერისხა თურმე კობახიძე, მაგრამ „პრიჰტავსაც“ არ დაეხათრა სიმართლეზე. „პრისტავმაც“ არა ნაკლებ იტკიცა კობახიძის ახირება და მაშინვე საეჭვო კაცების სიაში მოაქცია და „ნაჩალიკს“ წარუდგინა.. საეჭვო კაცის ადგილი ბოლოს ხომ ციმბირია.. აი როგორ გაუბრუდდა კობახიძეს გზა და ხალხში ესტიბარი გაუტყდა.. იმანაც ბრაზ-მორეულმა თავის მშობელს ქვეყანაში ყაჩაღის სახელით სიკვდილი არჩია, უცხო მხარეს მონობაში სიცოცხლეს!.

მამალმა მრავალჯერ იყივლა, რომ დარაჯები ისევ საუბრობდნენ. როგორც ვიცით, აბრია საკმაზულობაზედ თხლად იყო. ამიტომა ჯ ხან ერთ გვერდს მიუფიცხებდა ხოლმე საყალივნე მუგუზლებს და ხან მეორეს. სამივენი სცდილობდნენ ღამე გაეტეხნათ, მაგრამ ისევ ძილმა დასძლიათ. პირველად იმას მიეძინა, რომელსაც უფრო თბილად ეცვა.. დიდი ხანი იჯდა აბრია მარტოკა: ეღვიძა და არც ეღვიძა; ნიავი აქეთიქიდგან უვლიდა გვერდებში. მერე ადგა და თავისს ამხანაგებთან მიწვა. ჩაეძინა. ჰხედავს სიზმარში, ვითომც სადღაც მაღალს მთაზედ ყელამდე თოვლში და ქარ-ბუქში ეფლობა, ფეხები აძრება, გვერდები ეყინება, თანაც გათოშილ წყალსა სვამს ხარბად. სცდილობს დაეხწიოს ამ ვაივაგლახს, მაგრამ ვერ ახერხებს. იტანჯება., რიჟრაჟზედ დარაჯები მწვავედ მოსისინე ნიავმა გამოაღვიძათ.. აბრიას ისე შესცივნოდა მართლაც, რომ მის კბილებს კაწ-კაწი გაჰქონდა. შინ რომ მივიდა, ცეცხლს მიუჯდა, რაღაც უგუნებობა იგრძნო, მთელს ტანში სიცივის ჟრუანტელმა გაუარა. მიწვა და მაშინვე სიცხე მისცა, ცოტა გვერდებში ჩხვლეტა იგრძნო.. იმ ღამეს სულ ბოდვით გაატარა.. დილით აბრიას ცოლი მეზობლებში მეავე წნილსა თხოულობდა: აბრიას მჭვალი ადგა და უდიერი სიცხე აქვს, მჟავე საჭმელსა ნდომულობსო.

—

რამდენისამე დღის შემდეგ სოფლის სასაფლაოს გზის პირას მამასახლისი და რამდენიმე კაცი იდგნენ და ლაპარაკობდნენ. ამ დროს ოთხმა კაცმა წნელებით კეტებზედ დაკრული შეუმოსავი კუბო ჩამოატარეს. კუბოს მღვდელ-დიაკვანი „წმინდაო ღმერთო!“-თი მიუძღვებოდნენ. კაცებმა ქუდები მოიხადეს და თან ერთმანეთს მიცვალებულის ვინაობა ჰკითხეს.

— აის არი.. აი ტიტველაანთ აბრია. იმ დღესა თქვეს: მჭვალი ადგაო და აკი გადაუტანია კიდეც ე საწყალი,—უპასუხა დანანებით მამასახლისმა.. ახლა მაგის ქვრივ-ობლები გახდებიან ხათაბალად, სოფლის ბარგად.

— ღმერთო ჩემო, რა ხალხს ინელებს ე რაღაც მჭვალია! ეს მგონი მეცხრე გაიტანა ამ ერთ კვირაში, სთქვა ერთმა.

— ძნელი სატკივარია, ძნელი! მაგას ხომ ვერც ექიმი ჰშველის; ისევ ლოცვა თუ, თორემ წამალი არ უდგება მაგ ვერანას! —დაიბოლოვა სხვამ.

ფშაველიშვილი

საქმის საქმის საჭიროებათა შესახებ, იქონიოს საკუთარი გაზეთი ან ჟურნალი, ბიურო და სხვა. საზოგადოების წევრებად შეუძლიათ ჩაეწერნენ სტამბის პატრონნი, ლიტერატორნი, მხატვარნი, გამომცემელნი, ქაღალდის ქარხნის პატრონნი და სხვანი.

— პერმის საგუბერნიო ერობამ დაადგინა გადასდოს 120,000 მანეთი ქ. ეკატერინბურგში პოლიტეხნიკუმის დასაარსებლად.

— საქციზო გარდასახადთა მთავარმა სამმართველომ გამოიანგარიშა, რომ მომავალ 1899 წელს აქციზის შემოსავალი 392 მილიონი მანეთით მეტი იქმნება, ვიდრე შარშან იყო. სახელდობრ: სასმელებისაგან—271 მილიონი მანეთი, თამბაქოსაგან—35,500,000 მან., შაქრისაგან—56,500,000 მან., ნავთისაგან—26 მილიონი და წუმწუმისაგან—7 მილიონი მანეთით მეტი.

## სასამართლოს მატიანე

ივანე ბეგალოვის საქმე.

21 დეკემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე მე-2 გილდიის ვაჭრის ივანე ბეგალოვისა, რომელსაც ჰბრალდებოდა 400 მანეთის თამასუქის მოპარვა საზღვრის საპოლიციო გამგეობიდგან. საქმის ვითარება ასეთია: ბეგალოვს უნდა მიეღო დ. ბაქრაძისაგან თამასუქით 2,000 მანეთი. ანგარიშის დროს ბეგალოვმა განაცხადა თანხმობა სარგებელში მიიღოს 400 მან. თამასუქი და დაუბრუნოს ბაქრაძეს 2,000 მ. თამასუქი გადასაწერად. 400 მანეთის თამასუქი იქვე საზღვრის პოლიციის გამგეობაში დასწერეს, მაგრამ შემდეგ ბეგალოვმა განაცხადა 2,000 მანეთის თამასუქი თან არა მაქვს, შინ დამრჩა, წავალ და მოვიტანო. როდესაც ბეგალოვი წავიდა, აღმოჩნდა, რომ ახლად დაწერილი 400 მან. თამასუქი სადღაც გაჰქრა. ბაქრაძემ ეჭვი ბეგალოვზედ მიიტანა. შემდეგ ბეგალოვმა განაცხადა, რომ ეს თამასუქი, სარგებელში-კი არა, სხვა ვალში მომცა ბაქრაძემაო. ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაამართლა ბეგალოვი.

სამოსამართლო პალატამ განიხილა რა ეს საქმე, დამნაშავედ სცნო ბეგალოვი და ასტრახანის გუბერნიაში გაგზავნა მიუსაჯა საცხოვრებლად.

## ბ-ნ ალექსანდრე ივანეს ძე ჯავახიშვილის მიერ გამოგონილი ახალი მანქანა დეპეშების გასაგზავნ-გამოსაგზავნად.

„ივერიის“ №№ 75 და 112 გვქონდა მოყვანილი ცნობები ორის ახალის ელექტროტეხნიკურის მანქანის შესახებ, რომელიც ბ-ნ ა. ი. ჯავახიშვილმა გამოიგონა ამ მოკლეს ხანში და ეს ორივე მანქანა დიდად მოწონებულ იქმნა მრავალ სპეციალისტთა და სამანუფაქტურო დეპარტამენტის მიერ და ორივესათვის პრივილეგიაა გამოცხადებული. ერთი მანქანა გახლავთ რკინის გზებზედ საჩხმარებლად უბედურ შემთხვევის თავიდგან ასაცდენად და მეორეც—ელექტრონული განათების ერთი ორად გასაიაფებელი მანქანა.

ეხლა კიდევ ბ ნმა ჯავახიშვილმა მესამე მანქანა გამოიგონა, რომლის შემწეობით შეიძლება დეპეშების გაგზავნ-გამოგზავნა დიდს მანძილზედ შუა სადგურების დაუხმარებლივ. აი ამ ხსენებულ მანქანების შესახებ დაწვრილებითი ღირსება და იმისი მოდელები დაბეჭდილია სპეციალურ ჟურნალებში, სახელდობრ „Журналъ путей сообщенія“-ს მერვე წიგნში და „Электротехникъ“-ს № 19 და 24.

ბ ნ ა. ი. ჯავახიშვილის მიერ ახალი სისტემით დეპეშების გაგზავნ-გამოგზავნას ძლიერ აადვილებს და გარდა სიადვილისა უფრო დიდის სისწრაფით შეიძლება და ამასთანავე ყოველ შუა სადგურებზედ მოსამსახურებს ერთი ათად უმცირდებათ ჯაფა ჩვეულებრივის დეპეშების გადაცემ-გადმოცემის თავიდგან აცდენით.

ამ ხსენებულ მანქანის მოდელიდგან ცხადადა სჩანს, თუ როგორ არის მოწყობილ-მომართული ეს მანქანა. ერთ ადგილას არის მიმაგრებული „კომუტატორი“ ორის ფირფიტით. ამ ფირფიტებს ორთა შუა არის შტემპელი, ამ ერთი ფირფიტიდგან გაყვანილია მავთული და შეერთებულია მანქანის და მეხის ასაცდენ მაგნიტთან. მეორე ფირფიტა შეერთებულია და გადაბმული ტელეგრაფის კალონის მანქანაზე გარედგან გატარებულ მავთულით.

აი ამ გვარად გამართულმა მანქანამ გამოცდის დროს დაგვანახვა შემდეგი: დეპეშების შორს მანძილზედ გაგზავნ-გამოგზავნის დროს, მაგალითად პირველი ა, სადგურიდგან მესამე ვ, სადგურამდის, როდესაც პირველი სადგური ატყობინებს საშუალო სადგურს, აი ამ დროს ამ უკანასკნელი სადგურის მოხელე გამოიღებს შტემპელს ამ ფირფიტიდგან და აქედგან იგი გადაუნაცვლებს ადგილს მეხის ასაცდენ მაგნიტისაკენ და ფირფიტის შუა. ამ დროს ბატარიების სადგურიდგან ბ, დაიკეტება ა, სადგურის გასაღებით და გადის შიგ ამაში ელექტრომაგნიტი მანქანის სადგურამდე ვ, და აი ამისაგან რიჩაგები ძირს იწევს და ჰხვდება ხოლმე დაბლა ბურთიან კალონკას, და ასე ჰკეტავს ჯაჭვით ბატარიებს შემდეგის სადგურის ვ; როგორც სადგურიდგან შეიძლება ადვილად გადაცემა დეპეშების ნიშნების ბ, ასევე ამავე დროს გადადის ვ. სადგურამდის, თუ ვინიცობაა საჭიროება მოითხოვს, კიდევ შორს გადასაცემად, ამისათვის საჭიროა მხოლოდ შტემპელის გადანაცვლება სადგურის ვ და აი, ამგვარად შეიძლება დეპეშის გაგზავნა თითქმის მეტად დიდს ადგილ-მანძილზე, მარტო შტემპელების გადანაცვლებ-გადმონაცვლებით. თუ ვინიცობაა დაგჭირდათ რომელისამე შუა სადგურიდგან გადიღოთ გაგზავნილ დეპეშების პირი (კოპიო), ყოველთვის შეიძლება, როგორც ეს შხირად ხდება ხოლმე რკინის გზებზედ და აგენტების მიერ გაგზავნილ დეპეშების დროს გაზეთებისთვის.

ამგვარის სისტემით შეერთება ტელეგრაფის მანქანებისა, საშუალებას გვაძლევს გადავცეთ ხოლმე ყოველ იმ დანიშნულ ადგილზედ, სადაც გვსურს შუა სადგურების დაუხმარებლად, რითიც აღარც იმდენი ხანი დაგვიანდება ჩვეულებისამებრივ მიღებ-გაგზავნით და ამასთანავე მოსამსახურენიც სრულიად განთავისუფლდებიან დეპეშების მიღებ-გადაცემისაგან.

ასეთი სისტემისათვის არც ბატარიების მომატებაა საჭირო, რადგანაც ყოველი თითო აპარატი ამუშავებს თავისს ადგილობრივ ბატარიებს.

ამგვარი შეერთება ყოველგვარ სისტემის ტელეგრამის მანქანისათვის არის გამოსადეგი.

შაქრო ი. ვაჩნაძე

## დამაკვირდი

ესე ჩვეულება აქვს ბრძოლასა: მარჯვნით გვეთებად, მარცხნით გერ მიმთხვეული.

ნიკოლოზ ტფილელი

* * *

მუდამ სიწმიდე, აროდეს საწყინანი,
მუდამ სიმკნენი, აროდეს დასაკმიმანი.

ანტონი 1,

* *

კარგ ცოლთან მწუხარება, ნახევარდება, სიხარული ორკეცდება.

რუსული ანდაზა

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ბერლინიდგან იუწყებიან, რომ იქ ეხლახან დაბრუნდა საიდიდგან გერმანიის ქვეშევრდომი რიჩარდ ფიშერი, რომელმაც შეატყობინა გერმანიის მთავრობას, საიდის ერთს საპატიმროში აქამდე დაპატიმრებულია ერთი ჯარის კაცი, რომელიც ტყვედ წაიყვანეს 1870 წელს საფრანგეთსა და პრუსიას შორის მომხდარ ომის დროს. გერმანიის მთავრობამ მოითხოვა დაუყოვნებლივ იქმნეს განთავისუფლებული საპატიმროდგან ეს კაცი, რომელიც 30 წელიწადია, რაც დაპატიმრებული არისო.

* * *

რუსეთის გაზეთში „Юж. Кр.“ შემდეგი ამბავია დაბეჭდილი: კანონით დადებულია, რომ რკინის გზის მოხელეს თუ შვილი ეყოლა, ერთს თუმანს აძლევს რკინის გზის მმართველობა. ერთის მოხელის ცოლს ერთსა და იმავე დღეს ოთხი ვაჟი ეყოლა. მამამ თხოვნა მიართვა რკინის გზის მმართველობას და 40 მანათის შემწეობა სთხოვა. ამ თხოვნას რკინის გზათა კრება განიხილავს.

* * *

ქალაქ კოზლოვში არის ერთი კანტორა, რომელიც საზღვარ გარედ ქათმის კვერცხსა ჰგზავნის. ერთხელ შეამჩნიეს, რომ ყუთებიდგან კვერცხები იკარგება და ნოქარს დასდეს ბრალი. ნოქარი თავისს თავს დამნაშავედ არა ჰგრძნობდა და ამიტომ გადასწყვიტა მთელ ღამეს ვიყარაულებ და გავიგებ, ვინ იპარავს კვერცხებსაო. მეორე დღეს ნოქარმა უფროსი მიიწვია, მობძანდით და ჰნახეთ, ვინ იპარავს კვერცხსაო. და თურმე აი რა აღმოჩნდა. ვირთაგვებს გაეხვრეტნათ ყუთი, რომელშიაც კვერცხები ელაგა, შევიდნენ ყუთში და ცოტა ხანს შემდეგ კუდით გამოათრიეს ერთი ვირთაგვა, რომელიც გულაღმა დაწოლილიყო და მუცელზე სამი კვერცხი ეწყო. ვირთაგვა ამ სახით ამხანაგებმა თავიანთ სორომდე მიათრიეს.

* * *

ლონდონის ერთის გაზეთის რედაქციის თაოსნობით რამდენიმე კაცს უნდოდა ჰაეროსტატით გადაფრენილიყვნენ ლამანშის სრუტეზე ინგლისის ნაპირიდგან საფრანგეთის ნაპირამდე, მაგრამ ვერ მოახერხეს და ჰაეროსტატი კინაღამ ზღვაში დაიღუპა.

ამ ამბავმა სხვები მაინც ვერ შეაშინა. ამას წინად პერსევალმა, სპენსერმა და ზემოხსენებულ გაზეთის თანამშრომელმა მოიწადინეს ჰაეროსტატით გადაფრენა ლამანშზე, დილის 11 საათსა და 55 წუთზე აფრინდნენ ეგრედ წოდებულ მინის სასახლიდგან და საღამოს 5 საათზე დაეშვნენ მეორე ნაპირას, საფრანგეთში.

# დეპეშა

22 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: შეჩერებულ იქმნას სამის თვით გაზეთ „ჟოლნიერლოდსკი“-ს ბეჭდვა, რომელიც ლოდზში გამოდის.

შავის ჭირის საწინააღმდეგო კომისია აცხადებს, რომ ინდოეთში, ბომბეის საპრეზიდენტოში 26 ნოემბრიდგან 2 დეკემბრამდე შავი ჭირი შესამჩნევად შესუსტდა.

მომავალ წელს შინაგან საქმეთა სამინისტრო დაურიგებს ორ მილიონ მანათს იმ გუბერნიებს, რომლებსაც თავიანთი სათადარიგო თანხა დახარჯული ექმნებათ და ორას ათას მანათს კიდევ ცეცხლისაგან დაზარალებულ იმ გუბერნიებს, რომელთაც საკმაოდ არა აქვთ ფული.

**კონსტანტინეპოლი.** ის ცნობები, რომ ჯარებს უმატებენო და ერთის ადგილიდგან მეორე ადგილას გადაჰყავთ სალონიკშიო, ტყუილია.

**რომი.** იტალიის სამოქალაქო კამისარი იუწყება ასმარიდგან, 1 იანვარს ა. ს., რომ მენელიკმა მეგობრული წერილი გაუგზავნა მეფე ჰუმბერტს, რომელშიდაც ჰპირდება საზღვრები შევასწოროთო. ის ცნობა, რომ თეოფაიანტალოსი დანიშნულ იქმნა გამაზენის რასათ, სიმართლეს მოკლებულია. რას მაკონენთან გულითადი დამოკიდებულება აქვს. საქმეთა ვითარება არ შეცვლილა და არაფრის შიში არ არის.

## წერილი რედაქციის მიმართ

ქ-ნ სალომე ლოლუასაგან მივიღე 75 მან., სოხუმში შეგროვილი ჩემდა სასარგებლოდ. სია შემომწირველთა:

იოსებ ლოლუამ 10 მან., პეტრე ბარკალაიამ 4 მ., უცნობმა ტ. 1 მ., გიორგი ზაგროფოპულომ 1 მ., გიორგი გვალიამ 2 მ., ივანე გეგეჭკორიმ 1 მ., მიხაილ შოშიტაშვილმა 1 მ., ვასილი გორგიჩიძემ 2მ., სერგო ყურაშვილმა 1 მ., ბადურა ანუამ 1 მ., ბეგო თურქიამ 1 მ., სამსონ ადანიამ 1 მ., ნესტორ მაცხარაშვილმა 1 მ., გ. ერქომაშვილმა 1 მ., გიორგი ჩიქოვანმა 3 მ., გრიშა დადიანმა 1 მ., სოლომონ მეგინეიშვილმა 1 მ., გრიგოლ გიორგაძემ 1 მ., ივანე მიმინოშვილმა 1 მ., ანტონ ქარცივაძემ 2 მ., ი. ვ. სტამბოლმა 10 მ., სტეფან თურქიამ 5 მ., ანტონ იაშვილმა 2 მ., ერისტუ. ს. საბაშვილმა 1 მ., ბახვა ჩხეიძემ 1 მ., პავლე გუგუშვილმა 1 მ., დიმიტრი მეტაკსამ 1 მ., ლევან სიჭინავამ 1მ., ნიკო გვარამიამ 1 მ., ივანე ბაციბაიამ 1მ., სოლომონ თევზაიამ 1 მ., ერემეი მ. ჟოლკვერიმ 10 მ., ალექსანდრე პოვანამ 2 მ. და ალექსანდრე ხოშტარიამ 1 მ.

როგორც ქ-ნ სალომე ლოლუასას, ისე ყველა შემომწირველს უგულითადესს მადლობას ვუძღვნი.

სტუდენტი ბ. გამსახურდია

პეტერბურგი.


# განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (Дворц. ул. д. т. д. № 101) ისყიდება

# იადგარ

სადღესასწაულოდ ბავშვებისათვის საჩუქრად გრ. ტატიშვილის მიერ გამოცემული საყმაწვილო სურათებიანი წიგნები:

1, ხუმარა სპილოები . 10 კ.
2, გედები . . . . 10 კ.
3, კეთილი ძაღლი . 10 კ.

იქვე იყიდება კანვაზედ საკერი ანბანი 40 კაპ. და ჩართული (გლადით, საკერი) ანბანი 1 მ. (—6.—2)

დაიბეჭდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

# სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებულით ანუ ქრისტომატიით, რომელიც ორ-ნაწილად არის შემდგარი.

წიგნი დანიშნულია სახელმძღვანელოდ და სახმარებლად სათავად-აზნაურო სკოლებისა, სასულიერო სასწავლებლებისა, საოსტატო და სამართლ-მადიდებლო სემინარიებისა და დედათა საეპარქიო სკოლებისათვის.

შედგენილია კირიონ ალავერდის ეპისკოპოსისა და გრიგოლ ყიფშიძის მიერ.

მოკლე შინაარსი სიტყვიერების თეორიისა: წინასიტყვაობა.—შესავალი.—თეორია ენისა ანუ სტილისტიკა.—პროზა ანუ თეორია პროზისა.—თეორია პოეზიისა.—პოეზია საეპიკო და სალირიკო.—სადრამო პოეზია.

მოკლე შინაარსი სალიტერატურო ნიმუშების კრებულისა: ნაწილი I. აღწერანი მარტივნი და მხატრობითნი.—მგზავრის წერილები.—მოთხრობითნი თხზულებანი, ბიოგრაფია და დახასიათებანი.—მსჯელობითნი თხზულებანი.—საორატორო პროზა: მჭევრმეტყველება საპოლიტიკო, სახოტბო და სასულიერო.

ნაწილი II. საეპიკო პოეზია.—საერო ეპოსი.—ესკიზი, ამბავი და მოთხრობა.—იდილიები, იგავ-არაკნი და ბალადები.—სალირიკო პოეზია: სატირა, ოდა, ელეგია, სალირიკო ლექსნი, ლექსნი, დაწერილნი საერო კილოზედ, ხალხურნი ლექსნი, ჰიმნი, მადრიგალი, ეპიტაფია, ეპიგრამა. (ამ უკანასკნელს განყოფილებაში მოთავსებულია, სხვათა შორის, საუკეთესო სალირიკო ლექსები ჩვენის პოეტებისა).

მთლად წიგნი, ესე იგი სიტყვიერების თეორია და დამატება (ქრისტომატია) ორ ნაწილად, საკმაოდ მოზრდილის ტანისაა და შეიცავს 640 გვერდს ანუ სტამბის 20½ თაბახს და ჰღირს

# ერთი მანათი.

წიგნის მაღაზიებს და საზოგადოდ ყველას, ვინც ათს ცალზედ ნაკლებს არ იყიდის ნაღდს ფულზედ, 20% დაეთმობა.

საწყობი წიგნისა „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაშია. იქვე ისყიდება ახალი ქართული წიგნი

უცხო მწერალთა ამბავნი და მოთხრობანი

თარგ. გრ. ყიფშიძის მიერ.

**ფასი სამი შაური.** (10—3)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

# „ჯეჯილი“

ყოველთვიური მაათე

გამოვა 1899 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორითაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ. ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს—4 მან., ტფილისის გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—„წერა კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Груз. Двор. № 101), და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა № 5, კადეტის კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.* (3—უ.—3)


Дозволено цензурою, Тифлисъ 22 го Декабря 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე